საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ვაკანტურ თანამდებობებზე ჩასატარებელი დახურული კონკურსის პროგრამის, პირობებისა და ეტაპების დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილების მე-5 და მე-19 მუხლების შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკონკურსო კომისიამ გადაწყვიტა:

1.დამტკიცდეს „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ვაკანტურ თანამდებობებზე ჩასატარებელი დახურული კონკურსის პროგრამის, პირობები და ეტაპები“.
2. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.
3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დ აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6) გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 1. კონკურსის პირობები

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ვაკანტურ თანამდებობებზე ჩასატარებელ დახურულ კონკურსში (შემდგომში - კონკურსი) მონაწილეობის უფლებას მოიპოვებს კანდიდატი, რომელიც საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრირებულ ვებ-გვერდზე (www.hr.gov.ge) (შემდგომში - ვებგვერდი www.hr.gov.ge) გააკეთებს განაცხადს.
2. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ № 204 დადგენილების მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დახურულ კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს მოქმედ საჯარო მოხელეს, მოხელეთა რეზერვში ჩარიცხულ პირსა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს, თუ იგი არანაკლებ 1 წელია მუშაობს საჯარო სამსახურის სისტემაში და აკმაყოფილებს კანონით დადგენილ ძირითად მოთხოვნებს.
3. ვებ-გვერდზე (www.hr.gov.ge) ველში - „ჩემი რეზიუმე“ – შესაბამის ველში - კანდიდატმა აუცილებლად უნდა ატვირთოს:
ა) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
გ) შრომის წიგნაკის ან შრომითი ურთიერთობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (ორგანიზაცია, თანამდებობა, დანიშვნისა და გათავისუფლების თარიღების მითითებით).
4. საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებ-გვერდზე (www.hr.gov.ge) ველში - „ჩემი რეზიუმე“ – „რეკომენდატორები“ - კანდიდატმა აუცილებლად უნდა მიუთითოს არანაკლებ **2 (ორი) რეკომენდატორი;**
5. განაცხადების მიღების ვადაა: 2019 წლის 20 თებერვლიდან 1 მარტის ჩათვლით.

მუხლი 2. ვაკანტური თანამდებობა

ვაკანტურ თანამდებობად განისაზღვროს:

1. იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი.

მუხლი 3. კონკურსის პროგრამა

საკონკურსო პროგრამის თემატიკად განისაზღვრება:

1. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 27 ნოემბრის N97 ბრძანება „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ.“

მუხლი 4. კონკურსის ეტაპები

1. კონკურსი ტარდება ორ ეტაპად:
ა) პირველი ეტაპი - განცხადების გადარჩევა;
ბ) მეორე ეტაპი - გასაუბრება.
2. კონკურსის მეორე ეტაპზე აპლიკანტი გადავა განცხადებების გადარჩევის ეტაპზე კონკურსის მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში.
3. ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსი ითვლება გავლილად კანდიდატის მიერ კონკურსის ყველა ეტაპის გავლის შემთხვევაში.
4. კანდიდატი, რომლის მონაცემებიც არ შეესაბამება შესაბამისი ვაკანტური თანამდებობისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებს (მათ შორის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს) ან სრულყოფილად არ წარმოადგენს პირველი მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტაციას, არ მიუთითებს ორ რეკომენდატორს ან/და არ ექნება სამოტივაციო წერილი წარმოდგენილი ვერ გადავა კონკურსის შემდგომ ეტაპზე.
5. კანდიდატის გასაუბრებაზე გამოუცხადებლობა ან დაგვიანებით გამოცხადება წარმოადგენს კანდიდატის შესაბამის ეტაპზე დაუშვებლობის საფუძველს, მიუხედავად იმისა, გამოუცხადებლობა ან დაგვიანება საპატიო მიზეზით იყო გამოწვეული თუ არა.
6. კანდიდატს, რომელიც არ დაიშვება კონკურსის პირველ ან შემდეგ ეტაპზე, ეცნობება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისის ადამიანური რესურსების დეპარტამენტის მიერ, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, კონკურსის შემდგომი გაგრძელების შეუძლებლობის თაობაზე.
7. ვაკანტური თანამდებობისათვის გასაუბრებას ატარებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკონკურსო კომისია.
8. გასაუბრებისას ფასდება კანდიდატის ცოდნის, პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების დასაკავებელი თანამდებობისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობა.
9. გასაუბრება წარიმართება ობიექტურობის, არადისკრიმინაციულობისა და კორექტულობის პრინციპების დაცვით. გასაუბრების მეთოდები, დასმული კითხვები უნდა იყოს კორექტული, ხოლო კომისია - კეთილგანწყობილი და არ ახდენდეს კანდიდატზე ფსიქოლოგიურ გავლენას.
10. გასაუბრებაზე დარბაზში დაიშვებიან მხოლოდ კანდიდატები და უფლებამოსილი პირები.
11. გასაუბრების დღეს ყველა კანდიდატი უნდა გამოცხადდეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში (მისამართი - თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის 20) კომისიის

მიერ განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად. კანდიდატმა თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოცხადებული კანდიდატი გასაუბრებაზე არ დაიშვება.

12. კანდიდატს საპრეტენზიო კომისიისადმი (საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, მისამართი - თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის 20) მიმართვის უფლება აქვს კონკურსის შედეგების გაცნობიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა.

13. კომისიის გადაწყვეტილების გამოტანიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ეცნობება ყველა კანდიდატს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

მუხლი 5 საპრეტენზიო კომისიისათვის მიმართვა

კანდიდატს საპრეტენზიო კომისიისადმი (საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, მისამართი - თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის 20) მიმართვის უფლება აქვს კონკურსის შედეგების გაცნობიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა.